გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

განკარგულება:**გ-63. 632306512**
თარიღი:**06/03/2023**

სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ბაშში მდებარე 23711.00 კვ.მ. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.09.46.230) პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით, სარგებლობაში გადაცემისათვის, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემისა და ქირის წლიური საფასურის დადგენის შესახებ

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულომ, საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54–ე მუხლის პირველი პუნქტის ,,დ“–ქვეპუნქტის ,,დ.დ“–ქვეპუნქტის, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილებით დამტკიცებული ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების“ 22–ე მუხლის მე–2 პუნქტისა და 36–ე მუხლის მე–2 პუნქტის შესაბამისად, განიხილა სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ბაშში მდებარე 23711.00 კვ.მ. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.09.46.230) პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით, სარგებლობაში გადაცემისათვის, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემისა და ქირის წლიური საფასურის დადგენის საკითხი და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1.1. სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერს მიეცეს თანხმობა, რომ სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ბაშში მდებარე 23711.00 კვ.მ. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.09.46.230) პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით, სარგებლობაში გადასცეს ავთანდილ კოხრეიძეს.

1.2. სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ბაშში მდებარე 23711.00 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.09.46.230), იჯარის ფორმით, სარგებლობის ვადად განისაზღვროს 25 (ოცდახუთი) წელი.

1.3. სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ბაშში მდებარე 23711.00 კვ.მ. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.09.46.230) სარგებლობის ქირის წლიურ საფასურად (ქირის წლიურ ოდენობად) განისაზღვროს 800 (რვაასი) ლარი (25 წლის იჯარის ქირა 20000 (ოცი ათასი) ლარი).

1.4. სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ბაშში მდებარე 23711.00 კვ.მ. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.09.46.230) იჯარის ფორმით სარგებლობისათვის, ქირა განაწილდება ყოველ თვეზე და ქირის გადახდა განხორციელდება ყოველთვიურად.

2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

ნუგზარ ჯამბურია

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი